ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი ვლადიმერ კურტანიძე

არჩევის წესი მაჟორიტარული. კლდის ადმინისტრაციული ერთეული

საანგარიშო პერიოდი 30.10.2025-01.10.2026 წელი.

თანამდებობა-ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე.

ამავდროულად ვარ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრი. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიი წევრი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 17 საკრებულოს სხდომიდან დასწრებული ვარ 14 სხდომას. (3 სხდომა საპატიო) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებული 9 სხდომიდან დასწრებული ვარ 9-ვე სხდომას,ხოლო სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას ჩატარებული 10 სხდომიდან დასწრებული ვარ კომისიი 8 სხდომას. (2 სხდომა საპატიო) ასევე ჩატარებული მაქვს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს ერთი სხდომა. საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებია:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცება.
4. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება.
5. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება.
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცება.
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების მიმოხილვა და შეფასება.
8. ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცება.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემარუარად, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე გასვლით შეხვედრებზეც. მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ხდება სოციალური და ინფრასტუქტურული საკითხების დასახელება. კერძოდ:

1. სოფ კლდეში შიდაგზების მოწესრიგება.
2. სოფ წნისში შიდა გზების მოწესრიგება.
3. სოფ კლდეში გარე-განათების ახალი წერტილების მოწყობა.
4. სოფ წნისში გარე-განათების ახალი წერტილების მოწყობა.
5. სოფ წნისში მტკვარზე გადასასვლელი ხიდიდ რეაბილიტაცია.

6. სოფ წნისში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება.
7. სოფ კლდეში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფ კლდეში ნაწილობრივ დაიგო ეკლესიასთან მისასვლელი ბეტონის გზა, ასევე სოფ წნისის სარწყავი არხის მოწყობა გატანილია ტენდერზე, ხოლო დანარჩენი პრობლემების მოგვარების მიზნით მერიის შესაბამის სამსახურებთან მაქვს სისტემატური კომუნიკაცია.

ასევე ვღებულობ ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას.

ვლადიმერ კურტანიძე 3.

წარდგენის თარიღი 30.10.2026